

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 24 სექტემბერი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. მოსამართლის განცხადება გამოსაცდელი ვადის შეწყვეტისა და უვადოდ გამწესების თაობაზე
- წარდგენილ იქნება ინფორმაცია მოსამართლე გ. აბუსერიძის მონაცემების შესაბამისობის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 79^ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

2. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- პროექტი ითვალისწინებს 2018 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიებში მოსამართლეთა საშტატო რაოდენობის ცვლილების შესაბამისად მოხელეთა (თანაშემწე, სხდომის მდივანი) საშტატო ერთეულების ცვლილებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

3. რეკომენდაცია - საერთო სასამართლოების სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ზოგიერთი მოსამსახურის შრომის ანაზღაურების შესახებ
- წარდგენილ იქნება რეკომენდაცია თარჯიმნის თანამდებობრივი სარგოს გაზრდის შესახებ.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
შოთა ქადაგიძე

4. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების აპარატების მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“
- პროექტი განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ შეფასების პროცედურებს.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

5. გადაწყვეტილების პროექტი - „2017-2018 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/260 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელებას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

6. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, სამტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარიის ფუნქციების განსაზღვრას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

7. გადაწყვეტილების პროექტი - „თ. დგვარელის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“

- მოსამართლე თავისუფლდება თანამდებობიდან 65 წლის ასაკის მიღწევის გამო, 2018 წლის 29 სექტემბრიდან.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

8. გადაწყვეტილების პროექტი - „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 იანვრის №1/1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- მოსამართლე ლ. მიქავა ითხოვს ბინის დაქირავებისათვის საჭირო თანხის გამოყოფის სანაცვლოდ საწვავით უზრუნველყოფას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

9. მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის საორგანიზაციო საკითხები

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--